

მოგზაურობა

უკან

დაუბრუნებლად

რომელი მათგანი იყო
უგუნური?

რომელი ბრძენი?

რომელი მათხოვარი?

რომელი კეისარი?

რა იქნება სიკვდილიდან
ხუთი წუთის შემდეგ?

ვერნერ გითი

მოგზაურობა უკან დაუბრუნებლად

სამხრეთ ტიროლის (ჩრდ. იტალია) ერთი ეკლესიის დაბალ გალავანზე, ოთხი თავის ქალა დევს. მათ ზემოთ არის წარწერა: **“რომელი მათგანი იყო უგუნური? რომელი ბრძენი? რომელი მათხოვარი? რომელი კეისარი?”** სინამდვილეში, კეისრის სიმდიდრისა და ძალაუფლების ნატამალიც აღარ ჩანდა. იქნებ მის გვერდით მათხოვრის თავის ქალაც იდო, მაგრამ აღარაფერი მოწმობდა მის სიღატაკეზე, ძველმან ტანისამოსსა და დამშეულ კუჭზე. იქნებ უფრო მიზანშეწონილად მიგვჩნია, ამ თავის ქალებზე სხვა წარწერის გაკეთება: **“სიკვდილი ყველას ათანასწორებს!”** ქვემოთ მოვსინჯავთ, ეს აზრი რამდენად გამართლებულია.

ბირჟაზე ცდილობენ კონკრეტული სავაჭრო ნიშის დაკავებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მიზნობრივ ჯგუფზე ორიენტირებულად მუშაობენ. ამის საპირისპიროდ, სიკვდილს არანაირი მიზნობრივი ჯგუფი არ ჰყავს, რადგან მას ვერაფერს დაუსხლტება ხელიდან. ამიტომ, მრავალი ადამიანი ცდილობს სიკვდილის ფენომენის გააზრებას: ფილოსოფოსები, პოეტები, პოლიტიკოსები, სპორტსმენები, მსახიობები, უწიგნურები და ნობელის პრემიის ლაურეატები. ყველაზე ინტენსიურად ძველ ეგვიპტეში იკვლევდნენ ამ საკითხს, სადაც სიკვდილს მსოფლიოში უდიდეს ძეგლებს უდგამდნენ გიზას პირამიდების სახით. გერმანელმა პოეტმა, ემანუელ გაიბელმა, მთელი ეს ადამიანური მცდელობები, ზუსტად გადმოსცა წინადადებაში: **“სიცოცხლე მარადიული გამოცანაა, მარადიულ გამოცანად რჩება სიკვდილი”**. სიკვდილის ფენომენის ახსნის უამრავი მცდელობიდან, ევოლუციის თეორიას განვიხილავთ:

ევოლუციური მსოფლმხედველობით დანახული სიკვდილი

ევოლუციურ მსოფლმხედველობასთან სიკვდილი იმდენად მჭიდროდ არის მიბმული, რომ დედამიწაზე მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. სიკვდილზე ამგვარი წარმოდგენა, კარგად ჩანს ევოლუციის ოთხ ფუნდამენტურ საკითხში:

1. სიკვდილი - ევოლუციის აუცილებელი წინაპირობა: გერმანელი ფიზიკოსი კარლ-ფრიდრიხ ვაიცზეკერი აღნიშნავდა: “ინდივიდები, რომ არ კვდებოდნენ, არც ევოლუცია იქნებოდა, არც ახალი ინდივიდები იქნებოდნენ სხვა მახასიათებელი თვისებებით. ინდივიდების სიკვდილი არის ევოლუციის პირობა”.

2. სიკვდილი - ევოლუციის აღმოჩენა: რეგენსბურგელი პროფესორი, ვილმარ ტანერი, როგორც ბიოლოგი, სიკვდილთან დაკავშირებით ცნობილ ეგზისტენციალურ საკითხებს ასე წარმოადგენს: “როგორ და რატომ შემოდის ამ სამყაროში სიკვდილი, რომელიც კანონით საერთოდ არ უნდა არსებობდეს?” და შემდეგ პასუხობს: “ასაკში შესვლა და სიცოცხლის ხანგრძლიობა ერთგვარ მორგებას წარმოადგენს, რაც ევოლუციის მსვლელობისას განვითარდა. სიკვდილის გამოგონებამ ევოლუციის პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა”. მისთვის პროგრამირებული სიკვდილი მუდმივი შანსია, ევოლუციაში სიახლის მოსახინჯად.

3. სიკვდილი - სიცოცხლის შემოქმედი: თუ რამდენად განსხვავდება ევოლუციური მსოფლმხედველობა ბიბლიური მოძღვრებისგან, ნათლად ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ევოლუციის თეორიაში სიკვდილი, სიცოცხლის შემოქმედის დონემდეა აყვანილი. ამასთან დაკავშირებით, გერმანელი მიკრობიოლოგი რაინჰარდ ვ. კაპლანი ამბობს: “მოხუცებულება და სიკვდილი რა თქმა უნდა ტანჯვას იწვევს ინდივიდისთვის, განსაკუთრებით კი ადამიანთათვის, მაგრამ ეს ერთგვარი ფასია იმისათვის, რომ საერთოდ ევოლუციას შეეძლოს ჩვენი შექმნა”.

4. სიკვდილი - სიცოცხლის აბსოლუტური დასასრული: ევოლუციის თეორიის მიხედვით, სიცოცხლე მხოლოდ ფიზიკისა და ქიმიის საზღვრებზე დაფუძნებული მატერიალური მდგომარეობაა (მანფრედ აიგენი - გერმანელი ბიოფიზიკოსი და ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი).

ჩვენ ვხედავთ, რომ ევოლუციის თეორიას არ ძალუძს სიკვდილის ფენომენის ასხნა. რეალობის მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ ფენომენამდე დაყვანა, არანაირ ადგილს აღარ



ტოვებს სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისთვის. ადამიანი ბიოლოგიურ მანქანამდე დაიყვანება, რომლის სრული ბოლო, მისი ორგანიზმის სიკვდილია. ევოლუციის მექანიზმის ბორბალზე, სიკვდილი მხოლოდ სხვა სიცოცხლის წარმოშობას ემსახურება. ამით ადამიანის სიცოცხლე ევოლუციის დამსახურებად არის მიჩნეული.

ვინ გვაძლევს სწორ პასუხს?


ვის შეუძლია სანდო პასუხი გაგვცეს სიკვდილის არსთან და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლესთან დაკავშირებით? ის კომპეტენტური უნდა იყოს და შემდეგ წინაპირობებს აკმაყოფილებდეს:

- 1) თავად უნდა ჰქონდეს სიკვდილი ნაგეში (ჩვენ ვსატირობთ თვითმხილველის ინფორმაციას)
- 2) სიკვდილიდან სიცოცხლეში უნდა იყოს დაბრუნებული (ჩვენთვის პირადი გამოცდილების გაზიარება უნდა შეეძლოს)
- 3) სიკვდილზე ხელმწიფება უნდა ჰქონდეს (მას ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს იმაზე, რასაც ამბობს)
- 4) ყოველმხრივ სანდო უნდა იყოს (უნდა შეგვეძლოს მისი სიტყვის დაჯერება)

როდესაც ჩვენ კაცობრიობის ისტორიასვაკვირდებით, თუ ვის შეუძლია ამ ოთხი გამორჩეული წინაპირობის შესრულება, მხოლოდ ერთადერთი პიროვნება მოდის წინა პლანზე და ეს იესო ქრისტეა.

1) იგი ჯვარცმული იქნა და მოკვდა იერუსალიმის კარიბჭის წინ. იესოს მტრებს სურდათ დარწმუნებულიყვნენ მის სიკვდილში და ამიტომ ფერდი გაუგმირეს შუბით, საიდანაც სისხლმა იწყო დენა (იოანეს სახარება 19:34). ამის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ იესო მკვდარი იყო!

2) იესომ იწინასწარმეტყველა, რომ მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებოდა. ეს ასეც მოხდა და აღდგომის დილას ქალები პირველი მოწმეები შეიქნენ საფლავთან. ანგელოზმა უთხრა მათ: **“არ არის აქ, არამედ აღდგა მკვდრეთით!”** (ლუკას სახარება 24:6).



3) ახალი აღთქმა მიცვალებულის გაცოცხლების სამ შემთხვევას გადმოგვცემს, რაც იესო ქრისტეს ხელმწიფებით მოხდა, კერძოდ კი: ბეთანიელი ლაზარეს (იოანეს სახარება 11:41-45), ნაინელი ჭაბუკის (ლუკას სახარება 7:11-17) და იაიროსის ქალიშვილის (მარკოზის სახარება 5:35-43) გაცოცხლებას. იესოს გარდა სხვას არავის აქვს ხელმწიფება მიცვალებულების ბრძანებისა და მათი გაცოცხლებისა.

4) მხოლოდ ერთი დაიარებოდა ამ დედამიწაზე, რომელსაც შეეძლო ეთქვა: **“მე ვარ ჭეშმარიტება”** (იოანეს სახარება 14:6) და ეს იესო ქრისტე იყო. მას შეეძლო თავისი მოძღვრება მტრების თვალწინ დაეცვა, რომლებიც ერთთავად ეძიებდნენ, თუნდაც მცირე უსამართლობაში დაეჭირათ მაცხოვარი და ემხილებინათ.

ახლა ჩვენ სწორ მისამართზე ვართ და ამით ჭეშმარიტების წყაროსთვის მივაგენით. ჭეშმარიტება ჩვენი არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ვის სურს თავისი სიცოცხლე სიცრუეზე დააფუძნოს? ჩვენ ვიცით, რომ არსებობს უფალი, რომელსაც საჭირო კომპეტენცია გააჩნია და სწორი ინფორმაციის მოწვედა შეუძლია. მისგან ვიგებთ, თუ რა მოსდით ადამიანებს უშუალოდ სიკვდილის შემდეგ. ლუკას სახარებაში (16:19-31) მაცხოვარმა ამასთან დაკავშირებით, პასუხი ორი ადამიანის მაგალითზე გაგვცა, რომლებიც გარდაიცვალნენ. ერთი მათგანი იცნობდა ღმერთს, მეორე კი ურწმუნოდ ცხოვრობდა. ლაზარე ანგელოზებისგან იქნა მიყვანილი აბრაამის წიაღში, სადაც ის თავს შესანიშნავად გრძნობს. ამ ადგილს მაცხოვარი სამოთხეს უწოდებს (ლუკას სახარება 23:43). მეორე კი - მდიდარი, სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში აღმოჩნდა და თავის საშინელ მდგომარეობას ასე აღწერს: **“ვიტანჯები ამ ალში”** (ლუკას სახარება 16:24). ამდენად, **სიკვდილი არანაირი გამათანასწორებელი არ არის**, პირიქით: როცა უკვე ამ წუთისოფლად მასიური განსხვავებები არსებობს, სიკვდილის ფარდის მიღმა ეს განსხვავებები უფრო ღრმავდება. რა არის ამის მიზეზი? ეს დაწვრილებით უნდა იყოს განხილული.

სამმაგი სიკვდილი

ბიბლიის ცალსახა მოწმობით, ეს სამყარო და ყოველი ცოცხალი არსება ღვთის მიერ არის შექმნილი. ეს იყო მზა და გასრულებული ქმნილება, რომელიც ღვთიური

შეფასებით **“მალზე კარგი”** იყო. ღმერთი მოსიყვარულე და მოწყალეა და ყოველივე თავისი აღმშენებლის (იგ. 8:30) - იესო ქრისტეს მეშვეობით შექმნა (იოანეს სახარება 1:10; კოლოსელთა წერილი 1:16). ღმერთი შესაქმეს პროცესშიც თავისი ბუნების ერთგული დარჩა, რაც არის სახიერება, მოწყალეობა და სიყვარული. ეს სულ სხვა არის, ვიდრე ტანჯვითა და ცრემლით, სისასტიკითა და სიკვდილით გააჯერებული ევოლუციის სტრატეგია. ვინც ღმერთს ევოლუციის მიზეზად განიხილავს, ე. ი. სამყაროს შექმნის მსგავს მეთოდებს მიაწერს, ამით ღვთის ბუნებას ამახინჯებს. აქედან გამომდინარე, ღვთის მიერ მართული ევოლუციის (თეისტური ევოლუცია) იდეაც მიუღებელია.

საიდან იღებს სათავეს სიკვდილი, თუ ის არც ევოლუციის ფაქტორით არის განპირობებული და არც ღმერთის ბუნებას შეესაბამება? ვიცით, რომ სიკვდილი საყოველთაოა. ყველა ადამიანი კვდება: ბავშვი და მოხუცი, მაღალი მორალის მქონე ადამიანი და ქურდი, მორწმუნე და ურწმუნო. ამის მიზეზიც საყოველთაო უნდა იყოს.

ბიბლია ხაზს უსვამს იმას, რომ სიკვდილი, ადამიანთა ცოდვის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა ადამიანი წინდაწინ გააფრთხილა (დაბადების წიგნი 2:17), მან არაფრად ჩააგდო ბოძებული თავისუფლება და ცოდვაში ჩავარდა. იმ წუთიდან კი ცოდვის კანონი ამოქმედდა: **“ცოდვის საზღაური სიკვდილია”** (რომაელთა წერილი 6:23). ადამიანი ცოდვის ხაზზე აღმოჩნდა, რაც გრაფიკულ გამოსახულებაზე სქელი შავი ხაზით არის მონიშნული. შეგვიძლია ამას სიკვდილის მატარებელი ვუწოდოთ. ადამიდან მოყოლებული, რომელიც ამ სამყაროში სიკვდილის შემოსვლაზეა პასუხისმგებელი

(1 ტიმოთეს წერილი 2:14), მთელი კაცობრიობა ამ საშინელ მატარებელში იმყოფება: **“როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა სოფელში, ხოლო ცოდვის მიერ – სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა”** (რომაელთა წერილი 5:12). ამდენად, ცოდვით დაცემამდე სიკვდილი უცხო იყო ქმნილებისთვის.

როდესაც ბიბლია სიკვდილზე ლაპარაკობს, ამით ჩვენი არსებობის დასასრულს არ გულისხმობს. სიკვდილის ბიბლიური დეფინიცია არის: **“ვინმესგან დაშორება”**. რადგან ცოდვით დაცემა სამზაგ სიკვდილს გულისხმობს

(იხ. გრაფიკული გამოსახულება), შესაბამისად სამმაგი დაშორება არსებობს:

1. სულიერი სიკვდილი: ცოდვით დაცემისას, ადამიანი “სულიერ სიკვდილს” დაექვემდებარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამით ღმერთთან თანაზიარებას გაემიჯნა. ამ მდგომარეობაში იმყოფება ყველა ადამიანი, რომელთაც ღმერთი არ სწამთ. ისინი საკუთარი ნებით განკარგავენ თავიანთ ცხოვრებას და ცდუნებებსა და ცოდვებს არიან დაქვემდებარებულები. ისე ცხოვრობენ, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს. მათ არ აქვთ პირადი ურთიერთობა უფალ იესო ქრისტესთან და ბიბლიას უარყოფენ. ღვთის თვალში ასეთი ადამიანები სულიერად მკვდრები არიან, თუმცა შესაძლოა ფიზიკურად შესანიშნავად გრძნობენ თავს.

2. ფიზიკური სიკვდილი: სულიერ სიკვდილს, ფიზიკური სიკვდილი მოსდევს: **“... ვიდრე დაუბრუნდებოდე მიწას, რომლიდანაც ხარ აღებული”** (დაბადების წიგნი 3:19). დაცემის გამო მთელი ქმნილება ცოდვას დაექვემდებარა.

3. მარადიული სიკვდილი: სიკვდილის მატარებლის ბოლო სადგური, მარადიული სიკვდილია. იქ ადამიანის არსებობა არ შეწყდება (ლუკას სახარება 16:19-31), არამედ ღვთისგან საბოლოოდ გამიჯვნის მდგომარეობაში იქნება, რაც ღვთის სამსჯავროს დაექვემდებარება: **“ამრიგად, თუ ერთის (ადამის) დანაშაულით ყველა ადამიანს დაედო მსჯავრი”** (რომ. 5:18). იესო ქრისტე ამ ადგილს ჯოჯოხეთს უწოდებს, სადაც **“უშრეტელ ცეცხლი”** (მაროხის სახარება 9:43; 45) **“მარადიულად”** (მათეს სახარება 25:41) ანთია და სადაც **“ტირილი და კბილთაღრჭენაა”** (ლუკას სახარება 13:28). წმ. წერილი ამას, **“მარადიულ დაღუპვას”** (თესალონიკელთა მე-2 წერილი 1:9) უწოდებს.

როგორ უყურებს ღმერთი დაღუპვისკენ ჩვენივე ნებით სწრაფვას? უსაზღვრო მოწყალებით და სიყვარულით მან თავისი ძე შემოგვწირა ჯვარზე, რათა ხსნა ებოძებინა ჩვენთვის. მაცხოვრის სიტყვები: **“აღსრულდა”**, სიცოცხლის მატარებლის მომზადებას ნიშნავდა. ღვთის გაცხადებული ნებაა (ტიმოთეს პირველი წერილი 2:4), რომ ჯოჯოხეთისგან გადავრჩეთ, ხატოვნად, რომ ვთქვათ – სიკვდილის მატარებელი დავტოვოთ. ჩვენ მოწვეულები ვართ ვიწრო კარიბჭესთან, რომელსაც ზეცისკენ მიყვავართ (მათეს სახარება 7:13-14). ბიბლიის მოწმობით იესო ქრისტე ერთადერთი კარი და

ცოდვით დაცემა

ადამისეული მოკვდავი მოღვა

1

სულიერი სიკვდილი

“სიკვდილი მეფობდა ადამიდან მოყოლებული“ (რომ 5,14)

ბუნებრივი დაბადება

პირველი დაბადება: კაცი ხდება ჩვენი მამა

მეორე დაბადება: ღვთის შვილები ვხდებით

მიწიერი ცხოვრება

ზეციდან შობა

2

ფიზიკური სიკვდილი

3

საუკუნო სიკვდილი – ჯოჯოხეთი –

საუკუნო სიცოცხლე – ზეცა –

მარადიული არსებობა

ღვთიებობებულის თავისუფალი ნება
რჯლ. 30,19; იერ. 21,8

ხსნის ერთადერთი გზაა. თუ სიცოცხლის მატარებელში მოვთავსდებით, მარადიულ სიცოცხლეში შევალთ.

ერთი მატარებლიდან მეორეში გადაჯდომა, მაცხოვრისკენ მოქცევით, მის წინაშე ჩვენი ცოდვების აღიარებით, შენდობის გამოთხოვნით და ხსნის მეშვეობით ხდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვხდებით ახალი ქმნილება. მიტევების მიღება ყველას შეუძლია, ვისაც ამის სურვილი აქვს. იმას, რაც ჩვენ მადლით გვებოძა, ღვთისთვის განუზომლად დიდი ფასი აქვს, რაშიც მისი ძის მსხვერპლად შეწირვა იგულისხმება. ის ვინც ღვთის შემოთავაზებას მიიღებს, საუკუნო სიცოცხლეს

ეზიარება (იოანეს სახარება 5:24). ეს შანსი ადამიანს მხოლოდ ამ წუთისოფლად ეძლევა.

სიცოცხლის გზა

ერთ-ერთი მოხსენების შემდეგ, ერთი ახალგაზრდა კაცი გამომელაპარაკა. მე ვკითხე მას: “სად ხარ?”, მოკლედ მიპასუხა: “ბაქანზე ვდგევარ!”. ერთი რამ კარგად გაიგო, რომ სიკვდილის მატარებელი რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაეტოვებინა. შემდეგ მკითხა: “როგორ მოხვდევ სიცოცხლის მატარებელში?”. ამ ახალგაზრდამ რჩევა გაითვალისწინა და ახლა სიხარულით მიემართება მიზნისკენ.

ღმერთი მრისხანეა ცოდვების მიმართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოდვილი ადამიანი არ უყვარს მას. თუ ჩვენ სიცოცხლის მატარებელში გადავწყვეტთ ასვლას, მაშინ ამით ზეცაში ადგილს დაგვჯავშნით, ისე როგორც ეს კორინთელთა პირველ წერილში წერია: **“რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა ადამიანებს”** (2:9). სიცოცხლეს ვირჩევთ თუ სიკვდილს, სასუფეველს თუ ჯოჯოხეთს? ღმერთმა თავისუფალი არჩევანი მოგვცა, გზის ასარჩევად: **“სიცოცხლე და სიკვდილი, კურთხევა და წყევლა დაგიდევინაშე. ამოირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო”** (მეორე რჯული 30:19). აქედანაც ცხადი ხდება, რომ ღვთის ნება ადამიანის სიცოცხლეა. გრაფიკული გამოსახულებიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

“თუ შენ მხოლოდ ერთხელ დაიბადე (ბუნებრივი შობით), ორჯერ მოკვდები (ჯერ ბუნებრივი და შემდეგ მარადიული სიკვდილით); მაგრამ თუ შენ ორჯერ დაიბადე (ბუნებრივი შობით და შემდეგ იესო ქრისტეში განახლებით), მხოლოდ ერთხელ მოკვდები (ფიზიკური სიკვდილით).


ღვთის ძის რწმენა გვათავისუფლებს სამსჯავროდან და საუკუნო სიცოცხლეს გვაზიარებს: **“ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი მომავლინებელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და განკითხვაზე არ მიდის, არამედ უკვე (სულიერი) სიკვდილიდან (მარადიულ) სიცოცხლეში გადავიდა”** (იოანეს სახარება 5:24).

თუ რწმენის შედეგებზე ვიფიქრებთ, ცხადი გახდება, რა ტრგიკული გავლენა აქვს მიმდევრებზე სიკვდილის შესახებ ევოლუციურ სწავლებას. იგი მაღავს მარადიული

სიკვდილის საშიშროებას და ადამიანებს ავიწყებს მარადიული ხსნის შეთავაზებას. მაცხოვარი კი მოვიდა, რათა ჯოჯოხეთისგან ვეხსენით. მიმართეთ ღმერთს ღოცვით. მხოლოდ ამ გზით დატოვებთ სიკვდილის მატარებელს და სიცოცხლის მატარებელში გადაჯდებით. თქვენი ცხოვრება შემდეგი ღოცვით შეგიძლიათ შეცვალოთ:

“უფალო იესო ქრისტე, მე შევიცან ჩემი მდგომარეობის ტრაგიზმი. ჩემი ცხოვრების წესი, არანაირად არ ეთანხმება შენს სიტყვას. ახლა უკვე ვიცი, რომ კარგ მატარებელში არ ვზივარ. ამის გამო შეწუხებული ვარ და შეველას გთხოვ. მომიტევე ყველა ჩემი ცოდვა, რომლის გამოც ძალიან ვწუხვარ და შეცვალე ჩემი ცხოვრება, ისე, რომ შენი სიტყვა ვიკითხო და მასზე ვიყო ორიენტირებული. შენი შეწევნით, მსურს სიცოცხლის მატარებელში გადაჯდომა და მარადის შენთან ყოფნა. გიღებ ჩემი ცხოვრების კარს. იყავ ჩემი უფალი და მიბოძე ნება და ძალა, რათა შენი მიმღევაარი გავხდე. მაღლს გწირავ იმისათვის, რომ ცოდვებისგან გამათავისუფლე და შენს შვილად გახდომის პატივი მიბოძე! ამინ!”

დირექტორი და პროფესორი
დრ. ინჟ. ვერნერ გითი



ორიგინალის სათაური: Reise ohne Rückkehr
ავტორის ვებ-გვერდი: www.wernergitt.de
გერმანულიდან თარგმნა: ილია ოსეფაშვილმა
ყდის ღიზინი: ელისე ქრისტიანის

Publisher: DIE BRUDERHAND e.V.
Am Hofe 2, D-29342 Wienhausen, Telefon: 05149/ 98 91-0, Fax: -19
E-Mail: bruderhand@bruderhand.de; Homepage: bruderhand.de

Nr. 1508: Georgisch/Georgian, 1st edition 2012

